რეცენზია

ალექსანდრე გრიგოლია. ქართველ მთიელთა ადათი და სამართალი. „თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამ-ბა“. თბილისი. 2012. 249 გვ. კონტრტიტულზე: Alexander Grigolia. Custom and Justice in the Caucasus: The Georgian Highlanders. AMS Press New York. A Dissertation in Anthropology Presented to the Faculty of the Gradual School of the University of Pennsylvania in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy. Philadelphia 1939.

ჩვენს ხელთ არის ჩვენი თანამემამულის, პირველი თაობის ემიგრანტის, ჩანს, ქვეყნის გასაბჭოებამდე წასულის, ალექსანდრე გრიგოლიას წიგნი, რომელიც „თავისუფალმა უნივერსიტეტმა“ მისი დამფუძნებლის აწ განსვენებულის კახა ბენდუქიძის ინიციატივით და ხელშეწყობით გამოსცა. როგორც ანოტაცია გვამცნობს, მისი ავტორის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი ევროპაში სწავლის დასრულების შემდეგ ამერიკაში გადასახლებულა, 1939 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტში დაუცავს დოქტორის ხარისხი, როგორც პროფესორს ამავე უნივერსიტეტში უმოღვაწნია და, ბოლოს, 1968 წელს, ემერიტუს პროფესორის სტატუსში გასულა პედაგოგიური ასპარეზიდან. არც დაბადების წელია მისი ცნობილი, არც გარდაცვალების. არც ის ვიცით, თუ 1939 წლიდან პენსიაში გასვლამდე კიდევ რამდენი ნაშრომი გამოვიდა მისი ხელიდან.

მონოგრაფია „ქართულ მთიელთა ადათი და სამართალი“ იმ პერიოდში იწერებოდა, როცა ქართული ეთნოგრაფია და ეთნოლოგია ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. ეს კარგად ჩანს იმ ლიტერატურის ჩამონათვალიდან, რომელიც ავტორს თავის ნაშრომში აქვს გამოყენებული. ჩვენი ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელთა – სერგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის ნაშრომთაგან თითო ნაშრომი, ისიც კერძო საკითხს რომ ეხება, აქვს დამოწმებული. მაგრამ რასაც ავტორი ეყრდნობა, გამოკვლევათა თუ წყაროების სახით, შეიძლება ითქვას, სრულყოფილად ასახავს ამ პერიოდის ვითარებას ამ დარგში. ისიც

აღსანიშნავია, რომ ჩვენში ამგვარი ნაშრომის შექმნაზე არავის უზრუნვია, ნაშრომისა, სადაც სისტემატურად იქნებოდა გადმოცემული ქართული ეთნოგრაფიული ყოფის სურათი, მისი ყოველი სფერო და ასპექტი. ეთნოგრაფიული მასალის სიმწირე, ამ შემთხვევაში, საპატიო მიზეზი არ არის. ხომ შეძლო ეს სამშობლოს მოშორებულმა ადამიანმა, რომელსაც ალბათ ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი საბჭოთა ხანის პუბლიკაციებზე. როგორც ჩანს, ადგილობრივ, საქართველოში მოღვაწე მკვლევართა წინაშე არ იდგა ეთნოგრაფიული მასალის განზოგადებისა და სისტემატიზაციის ამოცანა. შესაძლოა, არც ხელეწიფებოდათ. დასანანია, რომ ა. გრიგოლიას ნაშრომი ათეული წლების მანძილზე სრულიად უცნობი იყო ქართველი ეთნოგრაფებისთვის. ამ ხასიათის მონოგრაფია, ნამდვილად, იქნებოდა სტიმული მათთვის, რომ მათაც შეექმნათ ანალოგიური წიგნი, სადაც მეტი მასალა იქნებოდა გამოყენებული. ვამბობთ, იქნებოდაო, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ საბჭოთა აკადემიურ მეცნიერებაში გაბატონებული დაუწერელი კანონით ყველას, ე. წ. რიგით მკვლევართ, როდი ჰქონდა უფლება, დაეწერა თავის დარგში განმაზოგადებელი ნაშრომი, ან სახელმძღვანელო. ამის უფლება მხოლოდ კორიფეთა, საქართველოს მასშტაბით ამა თუ იმ დარგის ფუძემდებელთა, მაღალტიტულოვანთა ხელში იყო. ბევრ დარგში (არ ჩამოვთვლი) ეს მათაც არ გაუკეთებიათ და დარჩა ასე. ასეთ ნაშრომებს პიროვნებები ქმნიან, ჩვენში კი ამგვარი წამოწყება უპირატესად კოლექტივების ხვედრი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეთნოგრაფიაში ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი ვრცელი ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია შეიცავს 154 დასახელებას ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე) და პირველწყაროდან მოპოვებული მასალები დაგროვდა, დღემდე განმაზოგადებელი ნაშრომი არ შექმნილა. არადა, მისი მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება. არ გვაქვს ილუზია, რომ ა. გრიგოლიას ნაშრომი, რომელიც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში იწერებოდა და თვისი ეპოქის დაღი აზის, შეავსებს ამ ხარვეზს. დღეს, როცა ეთნოლოგია და ანთროპოლოგია, გასულ საუკუნესთან შედარებით, გიგანტური ნაბიჯით არის წინ წასული, ამგვარი ტიპის განმაზოგადებელ ნაშრომს მეტი მოეთხოვება. დასამალი არ არის, ჩვენში ამ მხრივ არცთუ უმნიშვნელო ჩამორჩენაა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ისე გადავიდა მე-20 საუკუნე, რომ ჩვენს ეთნოგრაფიულ მასალას, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ყველაზე ნაყოფიერი სტრუქტურალისტური თეორიის და მეთოდის ხელი არ შეხებია.

რა მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენთვის რვა ათეული წლის წინათ დაწერილ სამეცნიერო ნაშრომს ისეთი სწრაფი ტემპით განვითარე-

ბად დისციპლინაში, როგორც ანთროპოლოგიაა? ამერიკაში, სადაც ეს წიგნი რვა ათეული წლის წინათ იწერებოდა, დღეს ასეთნაირად აღარ დაიწერება. ჩვენში? ყველაფერი შედარებითია და ჩვენში, შესაძლოა, მას ნაკლი არ მოეძებნოს. ნაკლი მხოლოდ აბსოლუტური ხედვიდან შეიძლება რომ დანახული იქნას. ჯერ ამ წიგნის ღირსებებზე ვილაპარაკოთ.

წიგნი თორმეტი თავისგან შედგება. პირველი თავი „შესავალი და გარემო“ ძირითადად გამიზნულია დასავლელი მკითხველისთვის. იგი კავკასიაში ქართველი და ადათობრვად მათთან მონათესავე ტომების განსახლებას ეხება და, ამდენად, შესაძლოა, ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდეს ქართველი მკითხველის მხრიდან. ავტორი განარჩევს ერთმანეთისგან აბორიგენ და დროთა ვითარებაში კავკასიის ერიტორიაზე შემოხიზნულ ხალხებს, რომელთა ენას არავითარ ნათესაობა აბორიგენთა ენებთან არა აქვს. ესენია, მისეული ჩამონათვალით, სპარსელები, თათრები, თურქები, სლავები, ბერძნები და სხვა. გამონაკლისია ოსები, რომლებიც თუმცა ინდოეროპულ ენაზე მეტყველებენ, ადათობრივად მჭიდრო სიახლოვეს იჩენენ აბორიგენებთან, რის საფუძველზეც ავტორი სრულიად სამართლიანად განიხილავს მათ ამ უკანასკნელებთან ერთად და, შესაბამისად, მათი ყოფიდან მოყავს პარალელური მასალა. ავტორი ქართველ მთიელთა ოთხ ჯგუფს – ხევსურებს, ფშავლებს, თუშებს და სვანებს – გამოყოფს და შედგომ, არსებითი განხილვისას, საერთოსთან ერთად მათ ყოფაში, ინსტიტუციებსა და წმენა-წარმოდგენებში განსხვავებებსაც აღნიშნავს. ყურადღებას იმსახურებს ავტორის კატეგორიული და, ამდენადვე, თამამი განცხადება, რომლითაც იწყება მეორე თავი „თემთა ჩამოყალბება“ და რომელსაც ჩვენში ალბათ ბევრი არ დაეთანხმება: „მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მთიელთა თემის ყველა წევრი ერთმანეთს აღიქვამს ერთიან სანათესაოდ, რომელიც დაკავშირებულია სისხლით ერთი საერთო წინაპრის გამო, ამის დაჯერება არ იქნება სწორი. რწმენა, რომ ხალხში არსებობს თემი, რომელიც მთლიანად შედგება სისხლისმიერი ნათესავებისაგან, იურიდიული ფიქციაა“ (გვ. 19). ბენედიკტ ანდერსონის „წარმოსახვითი“ თეორიის არ იყოს, სისხლი რეალური ერთობის წარმოსახვითი დასაბამია. ამ ბოლო დროს სისხლს კვლავ მიენიჭა პრიმორდიალობის მნიშვნელობა, მაგრამ მის საპირისპიროდ ფიზიკური მონაცემები არ ადასტურებს ქართული თემების მოსახლეობის ერთგვარობას. თუმცა რეალურად განცდილი ერთიანობა კი აპელირებს სისხლისმიერ ნათესაობაზე, მაგრამ ობიექტურად ეს ერთიანობა არ არის განპირობებული არც საერთო სისხლით და არც საერთო ანთროპოლოგიური მონაცემებით. კულტურა,

ადათ-ჩვეევები, სოციალური წყობა, საერთო წარსული და მისი განცდა არ ეკუთვნის ადამიანის არსების ბიოლოგიურ საწყისს. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურები და ფშავლები ისტორიულად თითქოს ერთი ტომის, ფხოველთა განშტოებებია (ან ასეთად არიან მიჩნეული), მათი ანთროპოლოგიური ტიპი (სისხლზე აღარ ვლაპარაკობთ) საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა მართებული არ იქნება, რომ ისინი ერთმანეთის მონათესავენი არ არიან და დანარჩენ ქართველებთანაც საერთო არაფერი აქვთ, როგორც პ. უვაროვს მიაჩნდა: „რომ ხევსურები ქართველები არ არიან და რომ მათ არა აქვთ ქართული წარმოშობა, ჩემთვის უტყუარი ფაქტია“. ამა თუ იმ ხალხის, ტომის თუ სხვაგვარი სოციალური ერთობის წარმოშობის საკითხის კვლევა უმადური საქმეა და, შესაძლოა, უქმიც. ზოგი დასკვნა ფანტასტიკამდე მიდის. საკმარისია, კოლხებზე ჰეროდოტეს ნათქვამი რომ გავიხსენოთ, თითქოს ისინი ეგვიპტური წარმოშობისანი არიან. ჩვენი ავტორი არ იზიარებს წარმოშობის პრიმორდიალისტურ, სისხლზე დაფუძნებულ ერთიანობას, მაგრამ მისთვის, კერძოდ, „ხევსურები რომ ქართველი ერის წარმომადგენლები არიან, დასტურდება ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა: ენა, ადათები, რელიგია, ფოლკლორი და ა. შ.“ (გვ. 27). კითხვაზე, თუ რითი აიხსნება მონათესავე ტომთა შორის განსხვავებანი, ავტორის ფაქტორად თავად ამ ტომებშივე გავრცელებულ, მკვეთრად ჩამოყალიბებულ ამანათის თუ ხიზნობის ტრადიციას ასახელებს. ეს ფაქტორი არის „უცხოელების მიღებისა სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით, რომლებიც შედარებით აადვილებდა უცხოური ელემენტების შეღწევას თემებში. აქ მათ იღებდნენ როგორც სრულუფლებიან წევრებს თანდათანობითი შერწყმითა და ასიმილიზაციით“ (გვ. 29). და კიდევ: „თუ... გავითვალისწინებთ“, – წერს ავტორი, – „კავკასიაში არსებულ გარემოებებს, – უცხო ადამიანის თემის წევრად მიღების ადათებსა და ფიზიკური მონაცემებისა თუ წარმოშობის სხვადასხვაობას, როგორც ეს ზემოთაა ნაჩვენები, დავასკვნით, რომ ქართველ მთიელებში საზოგადოებრივი ჯგუფები არ იყო იზოლირებული და ჩაკეტილი უცხოთა მიმართ. ეს საზოგადოებრივი ერთეულები, იქნება ეს ცალკეული თემები თუ მთლიანად ხალხები, არ არიან ძველი, უცვლელი რელიკვიების „მუზეუმები“... (გვ. 31). შესანიშნავი სიტყვებია, რომელთა დასტურად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში უხვი მასალა იპოვება. თემში უცხოთა მიღება იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ მას რელიგიური რიტუალის სახე ჰქონდა. ამ მომენტზე ჩვენი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს და სამართლიანადაც. ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ თემების ამგვა-

რი შევსება და ჩამოყალიბება ანალოგიას პოულობს იმ პროცესთან, რომელსაც ფიუსტელ დე კულანჟი აღწერს რომის წარმოშობასთან დაკავშირებით.

მესამე თავი „რელიგიური შეხედულებები და ჩვეულებები“ ნაკლებ ორიგინალურია და, გასაგებ მიზეზთა გამო, არ არის აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რწმენა-წარმოდგენებისა და საკულტო ყოფის საგანგებოდ შესწავლის შედეგი. ამ ნაწილში გვაქვს პრეტენზია, თუმცა არა საკუთრივ ჩვენი ავტორისადმი, არამედ იმ არასანდო წყაროებისადმი, რომლებიც ავტორიტეტულ ავტორებს ეკუთვნით. ბუნებრივია, ა. გრიგოლია არ იცნობდა მასალას, რომელიც იმ დროს უაღრესად მწირი სახით არსებობდა, ისიც, რაც არსებობდა, უშუალოდ მკვლევართა ხელით არ იყო მოპოვებული. ფშავლებსა და ხევსურებზე იგი წერს: „ისინი პატივს სცემენ ჯვარს, წმინდა გიორგის, მოციქულებს პეტრესა და პავლეს, მთვარანგელოზ მიქაელს და, ამავდროულად, ეთაყვანებიან ისეთ ღმერთებს, როგორებიცაა ანატორი, ნახარელა, პირქუში, კოპალა, იახსარი და მრავალი სხვა“ (გვ. 37). სწორია დამოწმებული ფრაზის პირველი ნაწილი, რომ „თაყვანს სცემენ ჯვარს“ და ა. შ., მაგრამ არსებითად მცდარია ერთი მხრივ, ანატორისა და ნახარელას, მეორე მხრივ, პირქუშის, კოპალას და იახსარის მიჩნევა ღმერთებად. პირველი ორი ხევსურული ტოპონიმებია, მეორენი კი – ღვთისშვილნი, იგივე ჯვარნი. არასოდეს ხევსურნი, ფშაველნი და თუშნი დასახელებულ ღვთისშვილებს ღმერთებად არ წარმოიდგენენ; ფაქტების საწინააღმდეგოა განცხადება: „ხევსურებს არ სწამთ, რომ ღმერთი ერთია“ (იქვე). პირიქით, ფაქტები მოწმობენ, რომ ხევსურებს (და სხვა მათ მონათესავე საზოგადოებებს) სწორედ ერთი ღმერთი სწამთ, რომელსაც „მორიგე ღმერთს“ უწოდებენ, ღვთისშვილები კი მისი ანგელოზები არიან და არა ღმერთები თუ ღვთაებანი, როგორც მათ დღემდე ძველი ინერციით ჩვენს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მოიხსენიებენ. ამ ინერციის სათავეში იდგა ჯერ ივანე ჯავახიშვილი, უდიდესი ავტორიტეტი ისტორიაში, მაგრამ არა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თემთა სარწმუნოებასა და საკულტო ყოფაში, და მერე სამამულო ეთნოგრაფიის ფუძემდებელნი – სერგი ჩიტაია და ვერა ბარდაველიძე[1]. მეორე მხრივ, ჩვენი ავტორი მაინც არ ღალატობს ისტორიულ ჭეშმარიტებას და ლაპარაკობს სვანებისა და ფშავ-ხევსურების „შორეულ წარსულში“ გაქრისტიანებაზე და მათში ქრისტიანობის დაცემასა და გადაგვარებაზე, ჩვენი კვალიფიკაციით,

1 საბჭოთა კონიუნქტურას ერჩია მათი, თუნდაც შებღალული ქრისტიანობის ნაცვლად, რომელიც საბჭოთა ხანაშიც აქტუალური იყო, ისტორიული წარმართობის გადმონაშთებზე ელაპარაკნათ.

პაგანიზაციაზე (ზ. კ.). რაც შეეხება ჯვარ-ხატების სისტემას, მომსახურე პერსონალს და სხვა კულტთან დაკავშირებულ საკითხებს ა. გრიგოლია სარგებლობს, ძირითადად, მე-19 ს-ის მოღვაწეთა (რ. ერისთავი, ნ. ხუდადოვი, ხახანაშვილი, რადე და სხვათა) პუბლიკაციებით, რამდენადაც მის თანადროულ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ამ პრობლემებს ყურადღება არ ექცეოდა[2].

მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე თავები საოჯახო ყოფას, სამართალს, ტრადიციულ ინსტიტუციებს, წეს-ჩვეულებათა ფუნქციონირებას ეხება. რასაც ჩვენი ავტორი ქორწინების ტრადიციული ინსტიტუტის შესახებ, რომელსაც წიგნის ყველაზე მეტი გვერდი ეძღვნება (და სამართლიანადაც) წერს, სახელდობრ, რომ „ხელშეკრულების მხარეებია არა დამოუკიდებელი ინდივიდები, არამედ ოჯახების საზოგადოებრივი ჯგუფები, ან მთელი თემიც კი“ (გვ. 91) – თავისუფლად შეიძლება განზოგადდეს და სხვა ტრადიციებსაც შეეხოს (თუნდაც სტუმარმასპინძლობას, თითქოსდა ოჯახის პრივატულ საქმეს, რომელიც რელიგიური რიტუალის დონემდეა აყვნილი, ან თუნდაც ქალის უფლებების საკითხს). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თავები, სადაც საფუძვლიანი საუბარია ქალის როლზე, ფუნქციაზე ოჯახში და საზოგადოებაში, უფლებებზე, საკუთრებაზე, ზოგადად, გენდერულ პრობლემაზე, რომლის აქტუალობა დღეს განსაკუთრებით იგრძნობა, თუმცა რატომღაც ჩვენში ეს პრობლება ეთნოლოგიური კუთხით წარმოჩენილი არ არის. ქალსა და კაცს შორის შრომის განაწილების თვალსაზრისით საინტერესოა დეტალი, რომელიც თითქოს სასხვათაშორისოდ აქვს ნახსენები ავტორს. კერძოდ, სვანეთში „კაცი ხნავს, თესავს და ფარცხავს; ქალი ამზადებს მიწას სათესად. თიბავენ კაცები, მაგრამ მას ქალები აგროვებენ; მოსავალს კი ქალებიც და კაცებიც ერთად მოიწევენ“ (გვ. 165). აქ გარკვეული სიმბოლიზმია: ქალი, როგორც მიწა და მასავით თესლის მიმღები, ამზადებს მიწას სათესად; თიბვაც, თითქოს როგორც ბრძოლა, მამაკაცის საქმეა, მოსავლის აღება კი – ოჯახისა, რომელიც ქალისა და მამაკაცის ერთიანობას, როგორც კერა და საკიდელი, წარმოადგენს. ჩვენს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ნაკლებად არის საუბარი ქალის უპირატესობაზე, უფრო მისი დაბალი სტატუსია ხაზგასმული. თუმცა, მიუხედავად მისი შეზღუდული მდგომარეობისა ოჯახსა და

2 მხოლოდ ოცდაათიანი წლების ბოლოს, როცა ა. გრიგოლიას თავისი ნაშრომი დასრულებული ჰქონდა, ს. ჩიტაიასა და ვ. ბარდაველიძის თაოსნობით დასაბამი დაედო ამ მიმართულებით საველე მუშაობას, რის შედეგადაც ეთნოგრაფიული არქივი ფასდაუდებელი მასალით შეივსო (მხედველობაშია ალექსი ოჩიაურის, ნათელა ბალიაურისა და სხვათა ჩანაწერები).

საზოგადოებაში, თვალსაჩინოა ქალის უპირატესობა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ავტორი: მთიელი ქალები „ფლობენ იმგვარ უპირატესობებს, რომლითაც არა მარტო უთანასწორდება, არამედ აღემატება კიდეც მამაკაცის უფლებებს. მაგალითად, ჩვენ ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ხევსური ქალის მდგომარეობა აშკარად დაკნინებულია, მას აქვს ისეთი უპირატესობანი, რაც კაცს არ გააჩნია. შესაძლოა, ის არ იყოს ოჯახის მემკვიდრე, მაგრამ მას უფლება ჰქონდა, ჰქონოდა საკუთარი ქონება [„სათავნო„], როგორიც არ გააჩნდა კაცს, რომლის პირადი საკუთრება ძალზე მწირი იყო“ (გვ. 167). ქალის განსაკუთრებულ უფლებებზე მეტყველებს ისიც, რომ არსებობს „ქალის დრო“, რომელსაც საოჯახო საქმეებისგან ანთავისუფლებული ქალი სათავისოდ (ქონების დასაგროვებლად) იყენებს. ქალი თავისუფალ დროს ადრეული ასაკიდან იყენებს, რათა მომავალი ოჯახისთვის სხვადასხვა სახის ნივთიერი დოვლათი დააგროვოს. რასაც ქალი ბავშვობიდან აგროვებს, ეს მისი კერძო ქონებაა, რომელშიც მას ვერავინ, ვერც ქმარი, ვერც შვილები ვერ შეეცილებიან. ქალის გონიერებაზე და მის კეთილ ნებაზეა დამიკიდებული ამ ქონების განკარგვა (გვ. 178-179). მეტი შეიძლება თქმულიყო ქალის უპირატესობის შესახებ (გვ. 195-6) დედის ძმის ინსტიტუტის კონტექსტში. შეიძლებოდა ამ თემის განვრცობა, თუმცა დედისძმის როლის უპირატესობა მამისძმაზე (ბიძაზე) დისწულის ბავშვის მიმართ ერთ-ერთი უნივერსალიაა, რომელიც ყველა დროში და ყველა კონტინეტზეა დადასტურებული.

მეათე თავში „საკუთრება“ ლაპარაკია საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემაზე ოჯახის უფროსის სიკვდილის ან ოჯახის გაყოფისას; მამა და უფროსი შვილი პრივილეგიით სარგებლობენ: უფროს ვაჟს დამატებით საუფროსო წილი ეკუთვნის, ოჯახის მამა კი, თუ ოჯახი მის სიცოცხლეში გაიყო, თვისი წილის გარდა, რომელიც, ცხადია, აღემატებოდა დანარჩენ მამროვანთა წილს, დამატებით მისი დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებელ წილსაც იღებს (გვ. 175). ქალები მოკლებული არიან წილს მამის მემკვიდრეობაში, სამაგიეროდ, როგორც უკვე ითქვა, მათ თავისი შრომით მოპოვებული, სხვისგან ხელშეუხებელი, საკუთრების ქონის უფლება აქვთ. ჩვენი მხრივ, დავსძენთ, ამ გარემოებიდან გამომდინარე, ქალის შრომას ოჯახის სასარგებლოდ სამართლებრივი შედეგი არა აქვს, თითქოს ის „უსასყიდლოდ“ შრომობდეს ოჯახში. ერთადერთი მისი სახსარი გასაჭირში (დაქვრივებისას თუ სხვა გარემოებებში) მისი პრივატული შრომის ნაყოფია. ტექსტიდან არ ჩანს, რომ ეს პრივილეგია სხვა მთიანეთის სხვა თემის ქალებსაც აქვთ, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ა. გრიგოლია არა-

ფერს ამბობს, არც იმას, არის თუ არა ასეთი ნორმა დადასტურებული სხვა ხალხებში.

ის საკუთრება, რომელსაც ა. გრიგოლია „ჯგუფურ საკუთრებად“ სახელდებს (გვ. 180-185), ორ კატეგორიად განიყოფება: სეკულარულად – ტყეები და საძოვრები, რომლებიც, განსხვავებით საოჯახო საკუთრებაში მყოფი სახნავ-სათესი მიწებისგან, ყველა მეთემისთვის მისაწვდომია, და საკრალურად – ხატის კუთვნილი ტყე, ხატისავე სახნავ-სათესი, საძოვრები, ცხვრის ფარა, ხატის შენობები, წმინდა ჭურჭელი, რომელიც „თას-განძის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მეტი შეიძლებოდა თქმულიყო სახატო ქონებასთან რიგით მეთემეთა ურთიერთობის შესახებ, თუმცა ადგილზე უშუალო დაკვირვების გარეშე, რასაც ჩემი ავტორი მოკლებული იყო, ძნელია კვალიფიციური საუბარი. მაგალითად, გაუგებრობას იწვევს მისი სიტყვები „ხატის მთელი ქონება მიჩნეულია მთელი მოგანცურის საერთო საკუთრებად“ (გვ. 183). „მოგანცური“ (უნდა იყოს: *მოგანძური/მეგანძური*) ხატის სამსახურში მყოფი ის პირია, ვისაც ხატის „თას-განძი“ (არა მთელი ქონება) მხოლოდ აბარია და მის სიმრთელეზეა პასუხისმგებელი. შესაძლოა, ავტორს მხედველობაში აქვს „მაგანძური“, რომელიც გულისხმობს სამ გვარს – ჭინჭარულებს, არაბულებს და გოგოჭურებს, რომლებიც გუდანის ჯვარის უნჯ საყმოს შეადგენენ „სამაგანძუროს“ სახელწოდებით. თუმცა ისინი გამოირჩევიან პრივილეგიით გუდანის ჯვარის მოყმე სხვა საგვარეულოთა შორის, მაგრამ მათზე გადატანითი მნიშვნელობითაც ვერ ითქმის, რომ ჯვარის ქონება მათი საკუთრებაა. ცხადია, ავტორი რომელიღაც წყარომ შეიყვანა შეცდომაში.

მეთერთმეტე თავში („დანაშაული და სასჯელი“) განხილული პრობლემები ყველაზე კარგად არის დამუშავებლი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ამდენად ბევრი საუბარი აქ არ მოგვიწევს. აღვნიშნავთ მხოლოდ ხალხური სამართლებრივი ცნობიერების საინტერესო ფაქტს, რომლითაც ავტორი იწყებს ამ თავს: „ისინი ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ განზრახ და გაუფრთხილებლობით დანაშაულს... მიუხედავად იმისა, ეს ქმედება (მკვლელობა, ზ. კ.) ნებსით იყო ჩადენილი თუ უნებლიეთ, მკვლელს ვეღარაფერი იხსნიდა მოკლული კაცის ნათესავების მხრივ სისხლის აღებისაგან“ (გვ. 189). უფრო მეტიც, და ამაზე ა. გრიგოლია ასევე ამახვილებს ყურადღებას: იარაღის პატრონი პასუხს აგებს თავის იარაღზე, მისი იარაღით სხვის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე პასუხისმგებლობა იარაღის პატრონს ეკისრება. ამ ნორმით ცდილობს ავტორი, ახსნას ფუთა დადეშქელიანის უშგულში მკვლელობის ვითარება. ოღონდ, როგორც ჩანს, ავტორს რომელიღაც წყაროდან, რომელსაც არ უთითებს, მოყავს ამ ცნობილი ანდრეზის განსხვავებულ ვარიანტი. ფუთა დადეშქელიანის ნაცვლად პუტა (დედნისეული დაწერილობით Puta) დადიანია მკვლელობის

მსხვერპლი. ფუთა, ამ ვერსით, ეკლესიის კუთვნილი თოფით მოკლეს, რითაც მოსახლეობას პასუხისმგებლობა მოეხსნა, ეკლესიაზე კი შურს ვერ იძიებდნენ.

მეთორმეტე თავის „სახელშეკრულებო სამართალი და ურთიერთდახმარება“ პირველსავე აბზაცში ავტორი ქართველ მთიელთა შორის სახელშეკრულებო სამართლის ნაკლებად განვითარების მიზეზად თავისუფალი შრომისა და, აქედან გამომდინარე, კერძო საკუთრების თითქმის არარსებობას ასახელებს, მაგრამ მის მიერ მოხმობილი მაგალითები თვალსაზრისს არ ადასტურებს. თუ სახელშეკრულებო სამართალი რამენაირად განპირობებულია კერძო საკუთრებით, ეს სამართალიც იმ ზომით იარსებებს, რა ზომითაც კერძო საკუთრება არსებობს. თავად ავტორი გამოყოფს სესხის სამ სახეს (გვ. 220), რაც, ერთი მხრივ, თუ განვითარებული კერძო საკუთრების არსებობაზე მეტყველებს, მეორე მხრივ, თავად სამი სახე სესხისა (მათ შორის, პროცენტული) შესაბამისი სამართლის განუვითარებლობას არ მოწმობს. ყველაფერი, განსაკუთრებით, სოციალური და სამართლებრივი ურთიერთობანი, შეფარდებითია.

ამავე თავში განიხილავს ავტორი კავკასიის ეთნოგრაფიის ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიც ნადირობაა, მაგრამ განიხილავს ურთიერთდახმარების კუთხით, ერთად გასული ან გზად შემხვედრი მონადირეები რომ უწევენ ერთმანეთს. ეს ყველაფერი ცნობილია მონადირეთა ყოფიდან. ახსენებს ნადირთმწყემსსაც, ტყაშმაფასაც, რომლის გულის მოგება წარმატებული ნადირობის გარანტიაა. მაგრამ არაფერს ამბობს მონადირის სასიყვარულო ურთიერთობაზე დედრ ნადირთმწყემსთან, რაც არც ისე გავრცელებულია მსოფლიო ხალხებში. თუმცა ეს მომენტი მითოლოგიის საკუთრებაა, გრიგოლიას წიგნი ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური ხასიათისაა.

დასკვნის სახით, უნდა ვთქვათ, რომ ალექსანდრე გრიგოლიას წიგნი ფუნდამენტურია, მასში განხილულია ხალხური ყოფისა და აზროვნების აბსოლუტურად ყველა სფერო, რომელიც კი ეთნოლოგიის ინტერესში შედის, სრულად იყენებს იმ დროისათვის არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას თუ საანალიზო მასალას, საჭიროების შემთხვევაში ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასაც, ახალგაზრდობაში მიღებულს სამშობლოში ყოფნისას (გვ. 128, 154, 232). და, რაც აღსანიშნავია, როგორც ნიშანდობლივი ფაქტი, იგი, განსხვავებით ჩვენში მოღვაწე ეთნოგრაფებისა, არასოდეს ცდილობს, ახსნას ამა თუ იმ ადათისა თუ წესჩვეულებათა გენეზისის ისტორიული მიზეზები. მისის აზრით, „ადათების წარმომავლობის ახსნის ცდა ჯერჯერობით ნაადრევია. საკითხის მეცნიერული ცოდნა ჯერ კიდევ ისევ არადამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით კავკასიაში ეთნოლოგიური კვლევების დარგში, სადაც ეთნოლოგია ჯერ ისევ ძალიან ახალგაზრდაა“

(გვ. 147). ეს სიტყვები გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს დაიწერა, თუმცა იმდროისათვის ეთნოლოგიური თეორიების სიმწირე არ იგრძნობოდა. ავტორს ამ სიტყვებით სხვა რამის თქმა სურს: „როდესაც გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება სიფრთხილის აუცილებლობის გამო, ვითვალისწინებდით ვ. ბარდაველიძე-ლომიას საინტერესო ნაშრომს, რომლიდანაც ხშირად მოგვყავდა ციტატები ამ თავში. ეს მეტად ღირებული ნაშრომი ძალიან დამეხმარა საკითხის განხილვისას, რის გამოც ავტორის მიმართ გულითადად მადლიერი ვარ. თუმც ნება მომეცით, კრიტიკის გარეშე აღვნიშნო, რომ, როგორი გამოსადეგი და საინტერესოც უნდა იყოს ეს ნაშრომი, ჩემი აზრით, პირველი ნაწილი, სადაც ავტორი აღწერს ტრადიციებს დეტალურად, უფრო მისაღებია, ვიდრე ის შეხედულებები, რომელთაც იგი მეორე ნაწილში გვთავაზობს, სადაც ავტორი ცდილობს, ახსნას განხილული ადათების წარმოშობა და მნიშვნელობა“ (გვ. 147).

შესაშურია ამ სიტყვების ავტორის ტაქტი და კეთილგანწყობილება, რომლის ფონზე იგი მიუთითებს კოლეგას მისი ნაშრომის არცთუ უმნიშვნელო ხარვეზზე. მაგრამ, დავსძენ, რომ ეს იყო არა ცალკეულ მეცნიერთა, არამედ კვლევის მეთოდად აღებული უალტერნატივო ისტორიზმისკენ ორიენტირებული მთელი საბჭოთა ჰუმანიტარული მეცნიერების ნაკლი.

ზურაბ კიკნაძე

ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდიკაში. მთავარი რედაქტორი და შემდგენელი დავით შუღლიაშვილი, რედაქტორი მაგდა სოლოღაშვილი. „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“. 2015. 629 გვ.

გალობა ქართველი ერის სულიერი მშვენიერების ნათელი გამოხატულებაა. საგალობელში ღრმა შინაარსით სავსე, მხატვრულად დახვეწილ პოეტურ ფორმებთან ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის მხატვრულად ასეთივე სრულყოფილი მუსიკალური ჰანგი. განსაკუთრებული სულიერებით განმსჭვალული და აღვსილი ქართული გალობა, ქართველთა ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი გახდა თავიდანვე და განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას იმსახურებდა. ქართულ გალობას მრავალი დაბრკოლება შეხვდა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის გზაზე, და ამ გზაზე ქართველმა საეკლესიო თუ საზოგადო მოღვაწეებმა, უბრალო ადამიანებმა, რომლებიც აცნობიერებდნენ საგალობლების მნიშვნელობას ერის სულიერ ცხოვრებაში, განსაკუთრებული ზრუნვის საგნად გაიხადეს იგი.